



# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 387

“ 8 ” დეკემბერი 2020 წ

## ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა №6 და №6ა-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.11.05.029.167; №01.11.05.029.168; №01.11.05.029.212) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №20.1436.1770 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა №6 და №6ა-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.11.05.029.167; №01.11.05.029.168; №01.11.05.029.212) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე [www.ms.gov.ge](http://www.ms.gov.ge) რეგისტრირებული №012025019-67 (№01202901959-67; №01203221461-67; №01203252008-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



## ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



**განკარგულება - N 20.1436.1770**  
**4 / დეკემბერი / 2020 წ.**

**ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა N6 და N6a-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე  
(საკადასტრო კოდები: N01.11.05.029.167; N01.11.05.029.168; N01.11.05.029.212)  
მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის  
პროექტის მოწონების თაობაზე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2020 წლის 6 სექტემბერს N012025019-67 (N01202901959-67; N01203221461-67; N01203252008-67) განცხადებით მიმართა მიხეილ რომაშვილმა (პ/ნ 62007000502) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა N6 და N6a-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.11.05.029.167; N01.11.05.029.168; N01.11.05.029.212) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, გლდანში, ქერჩის ქუჩის და გმირი კურსანტების კუთხეში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: N01.11.05.029.168; 01.11.05.029.167; 01.11.05.029.212). საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობია: 5 559 კვ.მ. საპროექტო ტერიტორია მოიცავს სამ მიწის ნაკვეთს (N01.11.05.029.168; 01.11.05.029.167; 01.11.05.029.212). აქედან ორი (N01.11.05.029.168; 01.11.05.029.167) კერძო საკუთრებაშია და ერთი (N01.11.05.029.212) მუნიციპალურ საკუთრებას წარმოადგენს. კერძო მიწის ნაკვეთები ესაზღვრება გმირი კურსანტების ქუჩას, ხოლო მუნიციპალური მიწა ტერიტორიის სიღრმეში მდებარეობს, მასთან სამანქანო მისვლა შესაძლებელია მხოლოდ ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთით არსებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთით, რომელზეც ვრცელდება სერვიტუტი. თუმცა გეგმარებითი დავალების შესაბამისად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით წარმოდგენილია მიწის ნაკვეთების განახლებული განაწილების გეგმა, რომლის მიხედვითაც სამივე მიწის ნაკვეთს განსაზღვრული აქვს საავტომობილო მისასვლელი გზა, საზოგადოებრივი სივრცე.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6).

„ქ. თბილისში, გლდანში, ქერჩის ქუჩა N6 და N6a-ს მიმდებარედ საკადასტრო კოდები: N01.11.05.029.168; N01.11.05.029.167; N01.11.05.029.212 განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 8 ნოემბრის N376 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად, წერილობითი დასტურის/შეზღუდვების ნებართვის გაცემის რომელიმე სტადიის ან/და



ტერიტორიული-სტრუქტურული დოკუმენტების დამუშავებისა ან/და მათში ცვლილებების შეტანის თაობაზე წინაშედებარე დადგენილების ამოქმედებამდე დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებებთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში განცხადების წარდგენის დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თუ ამავე კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ამასთან, „განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების შემთხვევაში მაკომპენსირებელი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 5 აპრილის N19.388.520 განკარგულების შესაბამისად, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტების თაობაზე კ-2 კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლების შეცვლის მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების ამოქმედებამდე წარდგენილ იმ განცხადებებთან დაკავშირებით, რომელთა თაობაზე ადმინისტრაციული წარმოება არ დასრულებულა, მაკომპენსირებელ ღონისძიებად განსაზღვროს საპროექტო არეალში საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემა ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში, თუ მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტების ფარგლებში მიღებული ნამატი საანგარიშო ფართობი აღემატება 350 კვ.მ.-ს, ამასთანავე გადაწყვეტილება მიღებულ იქნას ქალაქგეგმარებითი პირობების (ურბანული, სატრანსპორტო და სხვა ქალაქთმშენებლობითი რეგულაციები) გათვალისწინებით. ამასთან, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვროს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებით ნამატი ფართობის 10%-ის ოდენობით (დამრგვალდეს საპროექტო ობიექტის არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებული ერთეულების გეგმარების შესაბამისად არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით).

წარმოდგენილი წინადადებით, კერძო მესაკუთრეების მიწის ნაკვეთებზე მოთხოვნილია განაშენიანების კოეფიციენტების გადამეტება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით. მესაკუთრეების მიერ გაცხადებულია თანხმობა, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებით ნამატი ფართობის 10%-ის გადმოცემაზე, რაც ამ კონკრეტული ორი მიწის ნაკვეთის შემთხვევაში ჯამში შეადგენს 640 კვ.მ.-ს.

ხოლო რაც შეეხება მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს, განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავლების დამტკიცების სტადიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2019 წლის 2 ოქტომბრის N61-0119275261 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო, არ არის წინააღმდეგი N01.11.05.029.212 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი მოექცეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავლების საპროექტო არეალში, მხოლოდ იმ პირობით თუ არ შემცირდება მისი განაშენიანების პოტენციალი.

განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით გათვალისწინებულ იქნა აღნიშნული და ვინაიდან აღნიშნულ ნაკვეთს დაუდგინდა რზ-2 და ტზ-1, რამაც შეამცირა მისი არსებული ზონირების (სზ-6) შესაბამისი სამშენებლო პოტენციალი და რესურსი, ნაკვეთს შეეცვალა ფუნქციური ზონირება და სზ-6-ის ნაცვლად დაუდგინდა სსზ-2, რზ-2 და ტზ-1. თუმცა, დაცულია გეგმარებითი დავლებით განსაზღვრული სამშენებლო მოცულობა. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე განთავსდება მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობა: 75% საცხოვრებელი, ხოლო 25% საზოგადოებრივი ფუნქციით.

შენობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

ნაკვეთი N1

N01.11.05.029.167 (კერძო)

მიწის ნაკვეთის ფართობი: 1 037 კვ.მ სზ-6

კ-1=0,5; 560 კვ.მ

კ-2=3,7; 3 878 კვ.მ

კ-3=0,3; 311 კვ.მ.

ნაკვეთი N2

01.11.05.029.168 (კერძო)

მიწის ნაკვეთის ფართობი: 2 245 კვ.მ. სზ-6

კ-1=0,5; 1 212 კვ.მ

კ-2=4,8; 10 866 კვ.მ

კ-3=0,3; 674 კვ.მ.

ნაკვეთი N3

01.11.05.029.212 (მუნიციპალური მიწის ნაკვეთის ნაწილი)

მიწის ნაკვეთის ფართობი: 1 735 კვ.მ სსზ-2

კ-1=0,5; 937 კვ.მ

კ-2=4,6; 5 795 კვ.მ

კ-3=0,2; 347 კვ.მ.

ნაკვეთი N4

01.11.05.029.212 (მუნიციპალური მიწის ნაკვეთის ნაწილი)

მიწის ნაკვეთის ფართობი: 542 კვ.მ

რზ-2 - 384 კვ.მ

კ-1=0,2; 108 კვ.მ

კ-2= -

კ-3=0,8; 307 კვ.მ

ტზ-1 - 158 კვ.მ

კ-1= -

კ-2= -

კ-3=0,1; 16 კვ.მ.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5<sup>1</sup> პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუწეონ განაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 24 ნოემბრის N0120329973 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2020 წლის 25 ოქტომბრის N0120299119 წერილის თანახმად, ვინაიდან, პროექტი და სატრანსპორტო კვლევა არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ასაღი საგულისხმო გარემოებები, პოზიცია რჩება უცვლელი. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2020 წლის 18 სექტემბრის N61-0120262224 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო თანახმაა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ N01.11.05.029.212 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, გავრცელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალი, იმ შემთხვევაში თუ ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარებისას, შემოთავაზებულ საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში, საზოგადოებრივი და საცხოვრებელი ფუნქციის განაწილება იქნება შემდეგი: საზოგადოებრივი 25%; საცხოვრებელი 75% .

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, თბილისის ქალაქთმშენებლობითი განვითარების პრიორიტეტია არსებული განაშენიანებული ტერიტორიების გამოყენების რაციონალიზაცია და ეფექტიანობის გაზრდა, მათ შორის ამორტიზებული ან/და დეგრადირებული განაშენიანების განახლება-განვითარება. გაუწეონ განაშენიანებელი ტერიტორიების ათვისება დაიშვება, მხოლოდ განაშენიანებული ტერიტორიების ქალაქგანვითარების

პოტენციალის ამოწურვის ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობითა და განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული პროცედურებით მიღებული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტებით, თბილისის ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების წესებით დაშვებული ნებისმიერი ფორმით გამოყენება და განაშენიანება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ტერიტორიები უზრუნველყოფილია სათანადო საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით.

წარმოდგენილი წინადადებითა და დასაბუთებით, დასაშვებია, ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა N6 და N6a-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.11.05.029.167; N01.11.05.029.168; N01.11.05.029.212) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N012025019-67 (N01202901959-67; N01203221461-67; N01203252008-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა N6 და N6a-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.11.05.029.167; N01.11.05.029.168; N01.11.05.029.212) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3. მაკომპენსირებელ ღონისძიებად განსაზღვროს საპროექტო არეალში საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემა ე.წ. „თეთრ კარკასულ“ მდგომარეობაში.

4. საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განსაზღვროს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებით ნამატი ფართობის 10%-ის ოდენობით (დამრგვალდეს საპროექტო ობიექტის არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებული ერთეულების გეგმარების შესაბამისად არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით).

5. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ამ განკარგულების მეორე და მესამე პუნქტებით გათვალისწინებულ ქონების გადაცემის თაობაზე ხელშეკრულების გაფორმება უზრუნველყოს მშენებლობის ნებართვის მაძიებელთან მშენებლობის ნებართვის მიღებამდე.

6. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში მშენებლობის ნებართვის მაძიებელს მოსთხოვოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსთან ამ განკარგულების მე-5 პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების


წარმოდგენა.

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წინამდებარე განკარგულების გადაგზავნა დაინტერესებული მხარეებისთვის.

8. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

9. ამ განკარგულების გასანივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



ვახა კალაძე

საქართველოს საგარეო საზღვრების სამსახური

საქართველოს საზღვრების სამსახური




საქართველოს საზღვრების სამსახური

საქართველოს საზღვრების სამსახური  
საქართველოს საზღვრების სამსახური  
საქართველოს საზღვრების სამსახური


საქართველოს საზღვრების სამსახური

საქართველოს საზღვრების სამსახური	საქართველოს საზღვრების სამსახური	საქართველოს საზღვრების სამსახური	საქართველოს საზღვრების სამსახური
1	01.11.05.029.167	1037	5559
2	01.11.05.029.168	2245	
3	01.11.05.029.212	1735	
4	01.11.05.029.212-ის	542	



საქართველოს საზღვრების სამსახური	საქართველოს საზღვრების სამსახური	საქართველოს საზღვრების სამსახური	საქართველოს საზღვრების სამსახური
1	01.11.05.029.167	1037	5559
2	01.11.05.029.168	2245	
3	01.11.05.029.212	1735	
4	01.11.05.029.212-ის	542	

Case	Age	Sex	Site	Year
1	65	M	Stomach	1985
2	72	F	Stomach	1986
3	68	M	Stomach	1987
4	70	F	Stomach	1988
5	66	M	Stomach	1989
6	71	F	Stomach	1990
7	69	M	Stomach	1991
8	73	F	Stomach	1992
9	67	M	Stomach	1993
10	74	F	Stomach	1994
11	64	M	Stomach	1995
12	75	F	Stomach	1996
13	63	M	Stomach	1997
14	76	F	Stomach	1998
15	62	M	Stomach	1999
16	77	F	Stomach	2000
17	61	M	Stomach	2001
18	78	F	Stomach	2002
19	60	M	Stomach	2003
20	79	F	Stomach	2004




01-02-2000 10:20:00

[illegible]

*The English at Spanish Colonial Mexico City*

[illegible]



საჯდომის კატეგორია	საჯდომის ფართობი	საჯდომის ფართობი	საჯდომის ფართობი	საჯდომის ფართობი	საჯდომის ფართობი	საჯდომის ფართობი	საჯდომის ფართობი	საჯდომის ფართობი	საჯდომის ფართობი
1	01.11.05.029.167	1,037	0.5	3.7	0.3	311	311	311	311
2	01.11.05.029.168	2,245	0.5	4.8	0.3	674	674	674	674
3	01.11.05.029.212	1,735	0.5	3.3	0.2	347	347	347	347
4	01.11.05.029.212	384	0.5	3.3	0.2	307	307	307	307


საჯდომის კატეგორია	საჯდომის ფართობი	საჯდომის ფართობი	საჯდომის ფართობი	საჯდომის ფართობი	საჯდომის ფართობი	საჯდომის ფართობი	საჯდომის ფართობი	საჯდომის ფართობი	საჯდომის ფართობი
1	01.11.05.029.167	1,037	0.5	3.7	0.3	311	311	311	311
2	01.11.05.029.168	2,245	0.5	4.8	0.3	674	674	674	674
3	01.11.05.029.212	1,735	0.5	3.3	0.2	347	347	347	347
4	01.11.05.029.212	384	0.5	3.3	0.2	307	307	307	307

საქართველოს საგარეო საზღვრების დაცვის სამსახური  
საჯდომის საზღვრების დაცვის სამსახური


საჯდომის საზღვრების დაცვის სამსახური  
საჯდომის საზღვრების დაცვის სამსახური







ჭრილი 3-3



ჭრილი 2-2



COALITION 4/25/01

[illegible]


2000-2001

[illegible]

המחלקה לבריאות הציבור, מנהל בריאות הציבור, משרד הבריאות, תל אביב, ישראל



UW5027609 911010709



Special Issue: 5287-0109

2017年10月10日 星期四 10:10:10  
 2017年10月10日 星期四 10:10:10  
 2017年10月10日 星期四 10:10:10

01 02 03 04 05 06 07 08 09 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45 46 47 48 49 50 51 52 53 54 55 56 57 58 59 60 61 62 63 64 65 66 67 68 69 70 71 72 73 74 75 76 77 78 79 80 81 82 83 84 85 86 87 88 89 90 91 92 93 94 95 96 97 98 99 100 101 102 103 104 105 106 107 108 109 110 111 112 113 114 115 116 117 118 119 120 121 122 123 124 125 126 127 128 129 130 131 132 133 134 135 136 137 138 139 140 141 142 143 144 145 146 147 148 149 150 151 152 153 154 155 156 157 158 159 160 161 162 163 164 165 166 167 168 169 170 171 172 173 174 175 176 177 178 179 180 181 182 183 184 185 186 187 188 189 190 191 192 193 194 195 196 197 198 199 200 201 202 203 204 205 206 207 208 209 210 211 212 213 214 215 216 217 218 219 220 221 222 223 224 225 226 227 228 229 230 231 232 233 234 235 236 237 238 239 240 241 242 243 244 245 246 247 248 249 250 251 252 253 254 255 256 257 258 259 260 261 262 263 264 265 266 267 268 269 270 271 272 273 274 275 276 277 278 279 280 281 282 283 284 285 286 287 288 289 290 291 292 293 294 295 296 297 298 299 300 301 302 303 304 305 306 307 308 309 310 311 312 313 314 315 316 317 318 319 320 321 322 323 324 325 326 327 328 329 330 331 332 333 334 335 336 337 338 339 340 341 342 343 344 345 346 347 348 349 350 351 352 353 354 355 356 357 358 359 360 361 362 363 364 365 366 367 368 369 370 371 372 373 374 375 376 377 378 379 380 381 382 383 384 385 386 387 388 389 390 391 392 393 394 395 396 397 398 399 400 401 402 403 404 405 406 407 408 409 410 411 412 413 414 415 416 417 418 419 420 421 422 423 424 425 426 427 428 429 430 431 432 433 434 435 436 437 438 439 440 441 442 443 444 445 446 447 448 449 450 451 452 453 454 455 456 457 458 459 460 461 462 463 464 465 466 467 468 469 470 471 472 473 474 475 476 477 478 479 480 481 482 483 484 485 486 487 488 489 490 491 492 493 494 495 496 497 498 499 500 501 502 503 504 505 506 507 508 509 510 511 512 513 514 515 516 517 518 519 520 521 522 523 524 525 526 527 528 529 530 531 532 533 534 535 536 537 538 539 540 541 542 543 544 545 546 547 548 549 550 551 552 553 554 555 556 557 558 559 560 561 562 563 564 565 566 567 568 569 570 571 572 573 574 575 576 577 578 579 580 581 582 583 584 585 586 587 588 589 590 591 592 593 594 595 596 597 598 599 600 601 602 603 604 605 606 607 608 609 610 611 612 613 614 615 616 617 618 619 620 621 622 623 624 625 626 627 628 629 630 631 632 633 634 635 636 637 638 639 640 641 642 643 644 645 646 647 648 649 650 651 652 653 654 655 656 657 658 659 660 661 662 663 664 665 666 667 668 669 670 671 672 673 674 675 676 677 678 679 680 681 682 683 684 685 686 687 688 689 690 691 692 693 694 695 696 697 698 699 700 701 702 703 704 705 706 707 708 709 710 711 712 713 714 715 716 717 718 719 720 721 722 723 724 725 726 727 728 729 730 731 732 733 734 735 736 737 738 739 740 741 742 743 744 745 746 747 748 749 750 751 752 753 754 755 756 757 758 759 760 761 762 763 764 765 766 767 768 769 770 771 772 773 774 775 776 777 778 779 780 781 782 783 784 785 786 787 788 789 790 791 792 793 794 795 796 797 798 799 800 801 802 803 804 805 806 807 808 809 810 811 812 813 814 815 816 817 818 819 820 821 822 823 824 825 826 827 828 829 830 831 832 833 834 835 836 837 838 839 840 841 842 843 844 845 846 847 848 849 850 851 852 853 854 855 856 857 858 859 860 861 862 863 864 865 866 867 868 869 870 871 872 873 874 875 876 877 878 879 880 881 882 883 884 885 886 887 888 889 890 891 892 893 894 895 896 897 898 899 900 901 902 903 904 905 906 907 908 909 910 911 912 913 914 915 916 917 918 919 920 921 922 923 924 925 926 927 928 929 930 931 932 933 934 935 936 937 938 939 940 941 942 943 944 945 946 947 948 949 950 951 952 953 954 955 956 957 958 959 960 961 962 963 964 965 966 967 968 969 970 971 972 973 974 975 976 977 978 979 980 981 982 983 984 985 986 987 988 989 990 991 992 993 994 995 996 997 998 999 1000 1001 1002 1003 1004 1005 1006 1007 1008 1009 1010 1011 1012 1013 1014 1015 1016 1017 1018 1019 1020 1021 1022 1023 1024 1025 1026 1027 1028 1029 1030 1031 1032 1033 1034 1035 1036 1037 1038 10

[illegible]







1

2

3

4

5

6

7

8

9

10

10

11

12

13

14

15

16

17





# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 0120329973

თარიღი: 24/11/2020

პინი: 3544

გადაამოწმეთ: [document.municipal.gov.ge](http://document.municipal.gov.ge)

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 17 ნოემბრის №01203221461-67 განცხადება, რომელიც ეხება, ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩის №6ა-ს მიმდებარე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.11.05.029.167, 01.11.05.029.168, 01.11.05.029.212; არსებული ფუნქციური ზონა: საცხოვრებელი ზონა 6) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში №01.11.05.029.168 და №01.11.05.029.212 საკადასტრო ერთეულებზე აღწერილი 4 ძირი (№25, №40, №43 - №44) მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას. „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ შემოაღნიშნული მწვანე ნარგავები განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას და რაოდენობა არ აღემატება 15 ერთეულს, მათი მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.

აქვე გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამშენებლოდ გამოსაყენებელი ტერიტორიის ზეხმელი/ხმობადი მწვანე ნარგავებისგან გამოთავისუფლების მიზნით, სამსახური თანახმაა 01.11.05.029.167 საკადასტრო ერთეულზე მოიჭრას 1 ძირი ზეხმელი (№39) კაკალი, ასევე, 01.11.05.029.212 საკადასტრო ერთეულზე - 1 ძირი ზეხმელი (№41) ჩვეულებრივი თუთა და 1 ძირი ხმობადი (№42) ჩვეულებრივი თუთა მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

რაც შეეხება საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი მწვანე ნარგავების გადარგვის საკითხს, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში 01.11.05.029.167 საკადასტრო ერთეულზე აღწერილი 8 ძირი (№31 - №38), ასევე, 01.11.05.029.168 საკადასტრო ერთეულზე აღწერილი 6 ძირი (№1 - №2, №24, №26 - №28) და 01.11.05.029.212 საკადასტრო ერთეულზე აღწერილი 3 ძირი (№57-59) მწვანე ნარგავის (ჯამში 17 ერთეული) დიამეტრი არ აღემატება 25 სანტიმეტრს და ექსპერტის მიერ დადასტურებულია მათი გადარგვის შესაძლებლობა, დადგენილების 21-ე მუხლის 11 პუნქტისა და 212 მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ 01.11.05.029.168 საკადასტრო ერთეულზე არსებული, საექსპერტო დასკვნაში აღწერილი 5 ძირი (№6 D=38,2, №7 D=45,2, №8 D=48,7, №14 D=37,6 და №23 D=36,3 - ელდარის ფიჭვი) და 01.11.05.029.212 საკადასტრო ერთეულზე არსებული, საექსპერტო დასკვნაში აღწერილი 3 ძირი (№54 D=38,5, №55 D=35,7 და №56 D=39,2 - ჰიმაღაის კედარი) გადასარგავი მწვანე ნარგავის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს. დადგენილების მე-2 მუხლის 41-ე პუნქტის თანახმად, ხე, რომლის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს წარმოადგენს დიდტანიან ეგზემპლარს. ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, დიდტანიანი ხეების ბუნებრივი გარემოდან ამოღება/გადარგვა მოითხოვს ცალკეულ შემთხვევებზე დეტალური ინსტრუქციის მომზადებას მწვანე ნარგავების ფიზიკური მახასიათებლების, მდებარეობისა და სამუშაოს სირთულის მიხედვით. დადგენილების 21 მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტისა და 21<sup>1</sup> მუხლის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, რისთვისაც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს აღნიშნულ ხეებზე უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია და წერილობითი დასტური იმ კომპანიიდან, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეცტექნიკა და განახორციელებს გადარგვის სამუშაოებს.

აქვე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების პროექტის ფარგლებში ტერიტორიაზე

გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავების რაოდენობა (არსებული: 27 ძირი და გადასარგავი: 25 ძირი მწვანე ნარგავი), ასევე საპროექტოდ დასარგავი 6 ძირი ნეკერჩხალი, 6 ძირი ქართული მუხა, 6 ძირი იფანი, 6 ძირი ირმის რქა, 16 ძირი ჰიმალაის კედარი (ჯამში: 92 ერთეული) სრულად ითვისებს კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (1 677,7 მ<sup>2</sup>). იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული სუბსიდიის სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

**ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა 01.11.05.029.167, 01.11.05.029.168, 01.11.05.029.212 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.**

აქვე გაცნობებთ, რომ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-9 მუხლის მე-17 პუნქტის მიხედვით, განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავებისას იმ შემთხვევაში, როდესაც დასაგეგმარებელი ტერიტორია ხვდება შესაბამისი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საზღვრებში, დასაგეგმარებელ ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილას განთავსებულ საინფორმაციო დაფაზე განაშენიანების ძირითადი დებულებებით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა აუცილებლად უნდა იყოს განთავსებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დაგეგმილი გამწვანებული სივრცეების შესახებ ინფორმაცია.

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო  
სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის  
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული  
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 0120299119

თარიღი: 25/10/2020

პინი: 4012

გადაამოწმეთ: [document.municipal.gov.ge](http://document.municipal.gov.ge)

2020 წლის 16 ოქტომბრის N 01202901959-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს/კ 01.11.05.029.167, 01.11.05.029.168, 01.11.05.029.212) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განთავსების მიზნით, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ პოზიციის დაფიქსირებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების ანგარიში.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სამსახურმა პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2019 წლის 19 ივნისის N01191703024-67 განცხადების პასუხად N 01191852531 წერილით.

ვინაიდან, პროექტი და სატრანსპორტო კვლევა არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო



წერილის ნომერი: **61-01202622224**  
თარიღი: **18/09/2020**  
პინი: **6152**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის  
იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული  
განვითარების სააგენტო  
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

გადაამოწმეთ: [document.municipal.gov.ge](http://document.municipal.gov.ge)

სსიპ ქონების მართვის სააგენტომ, კომპეტენციის ფარგლებში განიხილა თქვენი 2020 წლის 09 სექტემბრის N16-0120253262 წერილი, სადაც აღნიშნავთ, რომ სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, შემოსულია ელექტრონული განცხადება N012025019-67, რომლითაც მოთხოვნილია ქ. თბილისიში, ქერჩის ქუჩა N6-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმება. ვინაიდან 01.11.05.029.212 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი, წარმოდგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებას, ითხოვთ სსიპ ქონების მართვის სააგენტოს პოზიციის დაფიქსირებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სსიპ ქონების მართვის სააგენტო, არ არის წინააღმდეგი, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 01.11.05.029.212 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, გავრცელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალი და მისი სამომავლო განვითარება განისაზღვროს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში შემოსული, ელექტრონული განცხადებით წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარებისას, შემოთავაზებულ საზოგადოებრივ საქმიან სონა 2-ში, საზოგადოებრივი და საცხოვრებელი ფუნქციის განაწილება იქნება შემდეგი: საზოგადოებრივი 25%; საცხოვრებელი 75%. აქვე აღნიშნავთ, რომ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით, დაცულია სსიპ ქონების მართვის სააგენტოს N61-0119275261 წერილში დაფიქსირებული მოთხოვნა.

პატივისცემით,

ირაკლი თავართქილაძე

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

